



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000025935390418

№ ს-193

01 / თებერვალი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„სატენდერო კომისიის და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის თაობაზე“
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №ს-756 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სატენდერო კომისიის და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №ს-756 ბრძანებაში, კერძოდ:

1.1 ბრძანების პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ნუგზარ ხუხუნაიშვილი“;

1.2 ბრძანების პირველი პუნქტის „გ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ზ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ანა მამაგვიშვილი“;

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3 ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე